

ქ.თბილისი

2018 წლის 1 აპრილი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2018 წლის 1 აპრილს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა, კომისიის წევრის ედუარდ ნაჭყებიას მიერ, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის გამო, კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ედუარდ ნაჭყებია.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათუნარიანად. ამის გამო, არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, სულხან სულხანიშვილი, ედუარდ ნაჭყებია.

სხდომას უძღვებოდა კომისიის სხდომის თავმჯდომარე ედუარდ ნაჭყებია.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება და მატჩის მეთვალყურის დ. ცხვედიანის ოქმი. მსაჯეების - ო. მოგელაშვილის, ნ. სტეფანოვის და ს. გელაშვილის მოხსენებითი ბარათები, ამა წლის 23 მარტს, „ბ“ ლიგის მატჩზე, თბ. „ხულიგანას“-სა და გარდაბანს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

თბილისის „ხულიგანა“-ს მწვრთნელი ილია ჯახველაძე - მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.2 და სადისციპლინო კოდექსის დანართი № 1 -ის 1.2 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. თბილისის „ხულიგანა“-ს მწვრთნელი ი. ჯახველაძე დისკვალიფიცირებული იქნას 2 (ორი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი თბ. „ხულიგანა“ დაჯარიმდეს 300 (სამასი) ლარით.
2. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 1.2 პუნქტი და კლუბ თბილისის „ხულიგანა“-ს „ბ“ ლიგაში დააკლდება 3 (სამი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის სხდომის თავმჯდომარე



/ედუარდ ნაჭყებია/